№1343 2015 წლის 23 ივნისი ქ. თბილისი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსათვის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ

1. 2015 წელს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამავალ წყნეთი-ახალდაბის დამაკავშირებელ საავტომობილო გზაზე სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამოუყოს 515 000 (ხუთას თხუთმეტი ათასი) ლარი, შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის“ კაპიტალის გაზრდის მიზნით.

2. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანხის ფარგლებში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამავალ წყნეთი-ახალდაბის დამაკავშირებელ საავტომობილო გზაზე სტიქიური მოვლენების

სალიკვიდაციო სამუშაოებისა და მათთან დაკავშირებული საპროექტო და საზედამხედველო მომსახურებების სახელმწიფო შესყიდვა შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიამ“ განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

3. „საქართველოს საავტომობილო გზების საგზაო სამუშაოების კლასიფიკაციის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 10 ივლისის №172 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიამ“ ამ განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სამუშაოები განახორციელოს პროექტირების პარალელურ რეჟიმში, ეტაპობრივად შეთანხმებული საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად.

4. შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიამ“ უზრუნველყოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსათვის ინფორმაციის მიწოდება გადარიცხული თანხის ხარჯვის შესახებ ან სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად.

5. ამ განკარგულებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების შემდეგ, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, განხორციელდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამავალ წყნეთი-ახალდაბის დამაკავშირებელ საავტომობილო გზაზე სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო სამუშაოებისა და მათთან დაკავშირებული საპროექტო დოკუმენტაციის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის გადაცემა.

6. ამ განკარგულებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების შემდეგ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ უზრუნველყოს შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის“

კაპიტალში შესაბამისი ცვლილების განხორციელება, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე და მისი მოქმედება ვრცელდება 2015 წლის 14 ივნისიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**